# თავისუფალი საქართველო

№27

23 - 29 ივლისი

1996 წ.

ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)


ეროვნული ბიბლიოთეკა

## წინ კიდევ ერთი ეტაპია

### 19 ივლისს დამთავრდა აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების განლაგების მორიგი ვადა...

მაგრამ საქართველოს პარლამენტს ჯერჯერობით არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია და, ამდენად, გაუგებარია - გაუგრძელდებათ თუ არა მანდატი "მოძმე" რუსეთის შეიარაღებულ ძალებს.

ამავე დღეს, "დედაენის" ძეგლთან, აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის ინიციატივით, ჩატარდა მიტინგი, რომლის მესვეურნიც მოითხოვდნენ რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის შეწყვეტას, პარლამენტის 17 აპრილის გადაწყვეტილების შესაბამისად. მიტინგის მესვეურნი სოლიდარობას უცხადებდნენ 17 ივლისს ზუგდიდში ჩატარებული მიტინგის მონაწილეებს, რომლებიც მოითხოვდნენ: 10 დღის ვადაში მოწვეულ იქნეს პარლამენტის სესია, მიღებულ იქნეს დადგენილება სამშვიდობო ძალების სრული და უპირობო გაყვანის შესახებ; პრეზიდენტმა და მთავრობამ არ დაუშვას სამშვიდობო მანდატის გაგრძელება; საქართველოს ხელისუფლებამ უზრუნველყოს უსაფრთხოება და აღკვეთოს ახალი კონფლიქტის პროვოცირების მცდელობა; არ დაუშვას სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების ამოქმედება აფხაზეთის კონფლიქტის სრულ მოგვარებამდე; ბოლოს და ბოლოს, გადაიდგას რეალური ნაბიჯები კონფლიქტის მოსაგვარებლად. "ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, 27 სექტემბრიდან მივმართავთ პროტესტის მასობრივ და რადიკალურ ფორმებს" - ნათქვამია რეზოლუციაში.

აფხაზეთიდან დევნილთა კავშირის თავმჯდომარემ, მურმან ბერიამ მიტინგის დაწყებამდე ჟურნალისტების კითხვებზე პასუხად განაცხადა, რომ რუსეთის ჯარი არ შეიძლება ასრულებდეს სამშვიდობო მისიას აფხაზეთში, ვინაიდან იგი უშუალოდ მონაწილეობდა კონფლიქტში. რაც შეეხება რუსეთის ახალი თავდაცვის მინისტრის დანიშვნას, ბერიას აზრით, საქართველოსთვის ეს დიდად არაფერს ცვლის: არ გვინდა არც ერთი - არც როდიონოვი და არც იაკუშევი.

ორგანიზატორთა შემართების მიუხედავად, მიტინგი არცთუ ხალხმრავალი იყო. არ გამოჩენილან არც აფხაზეთის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები, თუმცა, დეპუტაციის რამდენიმე წევრი ბრძანდებოდა. ჩვენ დავინტერესდით, ხომ არ იყო ეს მცირერიცხოვნობა გამოწვეული მოთხოვნების საკმაოდ რადიკალური შინაარსით. "არა გვგონია. ბევრი უფრო რადიკალურადაცაა განწყობილი, მაგრამ არ ენდობიან. ხალხმა ხომ იცის, ვინ რას წარმოადგენს..." - გვითხრეს ერთგან. ზოგიერთმა პირდაპირ გამოთქვა აზრი, რომ ეს ყველაფერი მართვადია და ამიტომ დევნილთა დიდი ნაწილი აქ არ მოვა.

დამსწრეთა შორის მართლაც აქა-იქ გაისმოდა შეძახილები - "ვის რას თხოვთ, მაგათ გაყიდეს აფხაზეთი", "თუ არ შეასრულებენ ჩვენს მოთხოვნებს, გადადგეს ხელისუფლება". ამ წამოძახილებს უმალ გაუჩნდათ მოპასუხეები - "ჯერ ეს ეტაპი არ დამდგარაო"...

- მაშ როდისლა?! - იკითხა ერთმა მხცოვანმა მამაკაცმა, ხელი ჩაიქნია და აუყვა გზას ფორმიანი თუ უფორმო პოლიციელების გვერდის ავლით.

*მამუკა ტუსიშვილი*

## ანონსი!

## იყო თუ არა შევარდნაძე 1989 წლის 8 აპრილს თბილისში?

**ამ კითხვაზე თავის წიგნში პასუხს იძლევა გენერალი ალექსანდრე ლებედი, რომელსაც ამჟამინდელმა ხელისუფლებამ შესაშური ოპერატიულობით მიულოცა მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა.**

**ნაწყვეტებს წიგნიდან "ЗА ДЕРЖАВУ ОБИДНО" გთავაზობთ "თავისუფალი საქართველოს" შემდეგ ნომერში.**

## საზოგადოება სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ

### მოთხოვნას სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ შეუერთდნენ:

**თბილისიდან** - ნათელა მაჭავარიანი, ლამარა ამაშუკელი, დალი ცაბაძე, მადონა მუსერიძე, თამარ გამილაღდიშვილი, მაკა ბარდაველიძე, ირმა ბერუაშვილი, გურანდა ჯიშკარიანი, მარიცა ლორთქიფანიძე, ნანა ლომაძე, დალი გოგორიშვილი, ნელი ბარვენაშვილი, გურანდა ხუციშვილი, მარგო კორკოტაშვილი, გიორგი ხოშტარია, გენადი გამსახურდია, ნელი ქობალია, ნანა გეგელია, დოდო ღონღაძე, ვანო კორკოტაშვილი, მანანა გოგიძე, გალინა ჩლაჩიძე, მინდია მამალაძე, მიხეილ ედიშერაშვილი, აზა ჯავახიშვილი, ნორა ჯავახიშვილი, მაია კაპანაძე.

**რუსთავიდან** - რაფიელ გამსახურდია, მერი ბარათაშვილი, ლია ნუცუბიძე, ნინო წერეთელი, ეთერ გამსახურდია, ია წერეთელი, ლუდმილა ალიევა, ლეილა ჩოკორაია, თეიმურაზ ჯანელიძე, ეთერ ბედიანაშვილი, ნაზი გაჩეჩილაძე, ნუგზარ არველაძე, მანანა ყურაშვილი, აზა ცომაია, მზია ცომაია, მერი ჯანაშვილი, ბესიკ მეფარიშვილი, დარიკო ცინცარაშვილი, ავთანდილ ლოლაძე, ეკატერინე ვერულაშვილი, მარგო გველუკაშვილი, ელიკო დოლენჯაშვილი, ნანა ბეჟუაშვილი, მადონა გიორგაძე, ლიზა მოდებაძე, მიხეილ სახვაძე, სოფიკო ბოჭორიძე, ანა ზარქუა, მერი იმერლიშვილი, ვენერა კოხრეიძე, დემნა მეტრეველი, მზია წიქარიშვილი, ნანა ხუნაშვილი, ოთარ ხიდაშელი, ხათუნა გრიგალაშვილი, ნანა ბარბაქაძე, ეკა ხვედელიძე, ირმა სულაძე, ანასტასია ხვიბლიანი, მანანა სვანაძე, თამარ ფოცხვერაშვილი, ეთერ კეკელიძე, ნანა სოსელია, თეა დონდუა, მარგალიტა ჩოდრიშვილი, ნანა რიკაძე, ირმა გუნცაძე, ლალი ნაზღაიძე, ელენე გუმბარიძე, ზაურ ხაჟომია, ნინო დუნდუა, ავთანდილ ბუცხრიკიძე, რევაზ ცომაია, ფრიდონ ბუცხრიკიძე, ილია ცომაია, ნანა სამნიაშვილი, ია ბუცხრიკიძე, თამარ ხაჟომია, დავით დუნდუა, ლია ხონელიძე, გურამ დუნდუა, ლელა კოხრეიძე, სონია დუნდუა, თამარ ოთარაშვილი, ეთერ ცხვედიანი, გოდერძი ლაცაბიძე, ბორის გვასალია, ლელა მენაბდე, მერაბ ბაკურაძე, მიხეილ ცხვედიანი, დავით სოხაძე, რამაზ რამაზაშვილი, ალეკო ცერცვაძე, ლალი რამაზაშვილი, ირინე ცერცვაძე, ნანა რამაზაშვილი, ლია ლომთაძე, მედეა გელაშვილი, ნანა მიქავა, თინათინ გოგინავა, ლადო ჯიქია, ამირან გოგინავა, ავთანდილ სიხარულიძე, ნაირა ბარამიძე, ნანა ალბორაშვილი, ქეთევან ჭელიძე, ლელა ალბორაშვილი, როლანდ ნოზაძე, სპირიდონ არბოლიშვილი, ანდრო ნოზაძე, თემურ ტრაპაიძე, იური ჭედია, ბელა ჩხირაძე, ლალი ტრაპაიძე, მანანა დევდარიანი, ნინო ჩხენკელი, თამარ ლეკვეიშვილი, დარეჯან ობოლაძე, ფიქრია ლომსაძე, თამარ პეტრუზაშვილი, მანანა უსენაშვილი, ლილი დოლიშვილი, გიორგი ნანიშვილი, თეიმურაზ ბარაბაძე, გიორგი ფეიქრიშვილი, ბელა შანშიაშვილი, ხათუნა ლომიძე, მერი გაჩეჩილაძე, ხათუნა ხეცურიანი, ნანა მამუკელაშვილი, ასინეთ ხუგაშვილი, მარიამ სურგულაძე, ნინო აბრამია, ნინო გელაშვილი, მარინე ცხვარიაშვილი, ჟუჟუნა სარალიძე, ნინო კობახიძე, ლილი დვალიშვილი, ნაზი ერქომაიშვილი, მარინე ყოჩიაშვილი, რუსიკო ჩითინაშვილი, ნანა წიკლაური, მარიამ გოგიჩაშვილი, ნანა ზარაძე, ირინე ბოჭორიშვილი, თამუნა ბალათური, დავით ტურაშვილი, ნაზი მაისურაძე, ლამარა დათუნაშვილი, ვალერი პატარაია, გიორგი ვაშაკიძე, ხატია ქირია, მანანა ყოჩიშვილი, ნინო რამაზაშვილი, ნონა დაშნიანი, შორენა ნოზაძე, ნინო პოილარაშვილი, თინათინ მხეიძე, ლევან დემეტრაშვილი, კონია კვირიკაძე, მალვინა ბუცხრიკიძე, მანანა აბზიანიძე, ვიოლეტა ბარაბაძე, ვიოლა კაციტაძე, გელა სისვაძე, ქეთევან შალიკაური, ნათელა ლომიძე, მამუკა ჯალაღონია, ეკა ჯანგველაძე, ქეთევან ჯანჯიბუხაშვილი, ჯულიეტა ლობჟანიძე, ლამარა ბატიაშვილი, მაყვალა გელაშვილი, მარინე კარტოზია, ეკატერინე ქარაია, მარინე მილაშვილი, ნანა ოსიტაშვილი, ნატო ნასიძე, ზურაბ ნანობაშვილი, დიანა მეტრეველი, თინა როსტიაშვილი, თამარ დანელიშვილი, ნუნუ მანაგაძე, ლუბა კონწიევა, ქეთევან მჭედლიძე, მარინე კობაძე, ციალა სულთანიშვილი, თამარ ჩალაური, მანანა ბოჭორიშვილი, ია არჩვაძე, დოდო ქუმარიტოვი, ლია არჩვაძე, მამუკა ხუციშვილი, ნინო მანჩხაშვილი, დინარა გოგოლაძე, მანანა პეტრუზაშვილი, მანანა კაპანაძე, ციალა ყოჩიაშვილი, ნინო გუგეშიძე, ლალი მურჯიკნელი, მაია გუგუშვილი.

(ხელმოწერები გრძელდება)

## ხობის პოლიციამ ლტოლვილთა სამაგალითო დარბევა მოაწყო

ივნისის მიწურულს, ხობის რაიონის სოფელ ხეთაში, პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაში განთავსებულმა ლტოლვილებმა, რომელთა დიდი უმრავლესობა გალიდანაა, გადაწყვიტეს ავტომაგისტრალი გადაეკეტათ...

საქმე კი იმაში გახლდათ, რომ იძულებით გადაადგილებულთ (რომელთა რაოდენობა 2500-ზე მეტია, მათ შორის 200-მდე ბავშვი) 1995 წლის შემდგომ არავითარი ჰუმანიტარული დახმარება არ მიუღიათ (თუ არ ჩავთვლით ფულად დახმარებას, რომელიც თვეში თითო სულზე 8 ლარს შეადგენს). ლტოლვილებმა ავტომაგისტრალის გადაკეტვა მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც მათი მცდელობა ჰუმანიტარული დახმარების მიღებისა (რომელსაც სხვა რაიონებში განთავსებული ლტოლვილები ასე თუ ისე იღებდნენ) და გახანგრძლივებული მოლაპარაკებები ხობის ხელისუფლებისა თუ გაერო-ს წარმომადგენლებთან უშედეგოდ დამთავრდა.

ლტოლვილებმა ავტომაგისტრალი გადაკეტეს. გააჩერეს გაერო-ს 2 ავტომანქანა და შეეცადნენ აეხსნათ ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებისთვის, რომ ლტოლვილთათვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარება დანიშნულების ადგილამდე არ აღწევს.

ხობის პოლიციის შეფი შელია ოპერატიულად მოვიდა პიკეტზე, ლტოლვილებს, გერმანული პუნქტუალობით, 15 წუთი მისცა დასაშლელად... 15 წუთში დანაპირები შეუსრულა - სენაკიდან გამოძახებული ხელკეტებით და ავტომატებით შეიარაღებული შავნიღბიანი და შავფორმიანი ომონელები შესაშური მხედრული ღირსებით დაერივნენ უმწეო ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს. ასე განსაჯეთ, მათთან ბრძოლაში მძიმე ტექნიკაც კი გამოიყენეს - რამდენჯერმე გაისროლეს ჭურვსატყორცნიდან. "რაინდებმა" ლტოლვილებს რკინიგზის სადგურამდე მისდიეს, ლიანდაგებზე დასდევდნენ და სასტიკად სცემდნენ. პოლიციის შეფი ხობში ხელცარიელი არ დაბრუნებულა, მისი ღირსეული მონაპოვარი ხუთი ლტოლვილი ქალბატონი გახლდათ, რომლებსაც აიძულებდა დაესახელებინათ პიკეტის ინიციატორები... დაკავებულები გაათავისუფლეს იმის გამო, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშო გახდა...

დარბევა ვიდეოფირზე დააფიქსირეს გაერო-ს წარმომადგენლებმა.

ჰუმანიტარული დახმარება კი ლტოლვილებს დღემდე არ მიუღიათ...

შესაძლოა, არ იყოს შემთხვევითი, რომ სწორედ გალიდან ლტოლვილებს უქმნიან განსაკუთრებით მძიმე პირობებს.

სამწუხაროდ, დევნილებიც და მოსახლეობაც იმდენადა არიან დაშინებულნი პოლიციური რეჟიმის განუკითხაობით, რომ არ ასახელებენ თავიანთ ვინაობას. ამავე მიზეზით, მსგავსი ინფორმაციები გვიან აღწევს ჩვენამდე.

**საკუთარი ინფორმაცია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩეჩნეთის ერთობა არ დარღვეულა

ჩეჩნეთში გასული კვირის უმნიშვნელოვანესი მოვლენა უდავოდ ცნობილი საველე მეთაურის, სალმან რადუევის გამოჩენა გახლდათ. რადუევმა, რომლის დაღუპვის შესახებ ცნობა მრავალჯერ გადასცეს რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა, უარყო ხმები თავისი გარდაცვალების თაობაზე და სატელევიზიო გამოსვლაში თქვა, რომ მოქმედებს ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის - ჯოჰარ დუდაევის დავალებით, რომელთანაც აქვს კავშირი და რომელიც ფედერალური ჯარების მიერ ჩატარებული ტერორისტული აქტის შედეგად არ გარდაცვლილა, არამედ მძიმედ არის დაჭრილი. მან გამოაცხადა ჯოჰარ დუდაევის სახელობის არმიის შექმნის შესახებ, რომელიც არ ცნობს და არ დაემორჩილება რუსეთის მხარესთან მიღწეულ არანაირ შეთანხმებას, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებს ოკუპანტთა გასადევნად ჩეჩნეთის მიწიდან. რადუევი აგრეთვე შეჰპირდა რუსებს ომის გადატანას რუსეთის ტერიტორიაზე და ტერორისტული აქტების სერიას რუსეთის ქალაქებში. ჯოჰარ დუდაევის სიცოცხლესთან დაკავშირებით, თავისი სიტყვებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად, სალმან რადუევმა ყურანზე დაიფიცა, რამაც ბევრი დაარწმუნა მის სიმართლეში. "ჩემთვის სულ ერთია, სად მოვკვდები, პერვომაისკოეში თუ ვორონეჟში. მოსკოვში ჩატარებული ტერაქტები ჩვენს მიერ არის ორგანიზებული" - თქვა რადუევმა, რითაც არაორაზროვნად მიანიშნა, რომ ძირითად აქცენტს რუსეთის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების მოწყობაზე გადაიტანს.

რადუევის გამოსვლასთან დაკავშირებით, ჩეჩნეთის ინფორმაციის მინისტრმა - მოვლადი უდუგოვმა განაცხადა: "რადუევმა გადაიტანა დიდი ემოციური სტრესი. მე ვენდობი გენერალ შამილ ბასაევს და მის სიტყვებს პრეზიდენტის სიკვდილთან დაკავშირებით".

მიუხედავად იმისა, რომ თავის გამოსვლაში რადუევი პირდაპირ არ დასხმია თავს ჩეჩნეთის რესპუბლიკის კანონიერ მთავრობას და პრეზიდენტ ზელიმჰან იანდარბიევს, მის სიტყვებში გამოსჭვიოდა ერთგვარი ქედმაღლობა. მისი მტკიცება, რომ კავშირი აქვს ჯოჰარ დუდაევთან და ასრულებს მის მითითებებს, რომელიც ძირეულად განსხვავდება ჩეჩნეთის ამჟამინდელი კანონიერი ხელისუფლების პოზიციისგან, ბადებს სერიოზულ ეჭვებს. ფაქტია, რომ რადუევის გამოსვლა ვერ მოახდენს კეთილისმყოფელ გავლენას ჩეჩენთა შორის ერთიანობის განმტკიცებაზე. ეს ერთობა კი დღემდე რჩება ვაინახთა უმთავრეს იარაღად ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი სიტყვები საბაბს აძლევს რუსეთს, რათა ამტკიცოს სერიოზული განხეთქილების არსებობა ჩეჩენ პატრიოტთა რიგებში: "იანდარბიევმა დაკარგა კონტროლი საჯარისო ფორმირებებზე და მასთან მოლაპარაკების წარმოება სრული უაზრობაა. ნაზრანის და მოსკოვის შეთანხმებები არის აბდაუბდა, რომლის შესრულება შეუძლებელია" - აცხადებენ რუსები, რითაც კვლავ ადასტურებენ, რომ მშვიდობის დამყარებაზე არც არასოდეს უფიქრიათ.

აშკარაა, რომ თავისი გამოსვლით, რადუევი შეეცადა აქცენტების გადანაწილებას. აგრეთვე, მკაფიოდ გამოჩნდა მისი სურვილი, ჩრდილი მიაყენოს იჩქერიის მთავრობას და პრეზიდენტს და ჯოჰარ დუდაევის სახელით მიიზიდოს თავისკენ ჩეჩენი საველე მეთაურები. მისი ეს მცდელობა დაქსაქსავს და წელში გატეხს ჩეჩნურ წინააღმდეგობის მოძრაობას, რაც, სასურველია, რომ რადუევის არა გააზრებული, არამედ უნებლიე დანაშაული იყოს.

"ჩეჩნეთის მთავრობა და ზელიმჰან იანდარბიევი აკონტროლებენ შეიარაღებულ ძალებს და დაიცავენ ქვეყნის დამოუკიდებლობას, რუსეთის მხრიდან არის ოდიოზური ტიხომიროვი, ჩვენს მხარეს გამოჩნდა რადუევი. თუ რუსებს სურვილი აქვთ, შეუძლიათ

გააფართოონ მოლაპარაკებათა მონაწილეების რაოდენობა და რადუევთანაც იქონიონ კავშირი" - ნათქვამია ჩეჩნეთის მთავრობის განცხადებაში.

ბოლო ცნობებით, რადუევის გამოსვლამ მას მომხრეები ვერ შემატა.

ჩეჩნეთის ხელისუფლების და ხალხის ერთობა არ დარღვეულა.

**ნუგზარ წიკლაური**

# სოსო ჟღენტი აპირებს თვითმკვლელობას

მან ეს განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მინდია უგრეხელიძისადმი 12 ივლისს გაგზავნილ განცხადებაში. სამხედრო ტყვე სოსო ჟღენტი დაავადებულია დიაბეტით, რომლის მკურნალობა შეუძლებელია არა მხოლოდ იზოლაციის პირობებში. მიუხედავად ამისა, მისი საქმე, განსასჯელის ავადმყოფობის მოტივით, ადვოკატისა და სხვა განსასჯელელთა პროტესტის მიუხედავად, გამოიყო საქმე № 7495927-დან.

ჟღენტი თავიდანვე ითხოვდა მის დაბრუნებას სასამართლო პროცესზე და ამ მოთხოვნით გამოაცხადა შიმშილობა 8 აპრილიდან. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, შიმშილობის მე-12-ე დღეს მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილი მოვიდა მასთან საავადმყოფოში და აღუთქვა, რომ თვითონ იქნებოდა მისი მოთხოვნის შესრულების გარანტი. "მოსამართლე ალადაშვილმა თავისი სიტყვა არ შეასრულა და მომატყუა" - აცხადებს სოსო ჟღენტი.

მან ჯერ კიდევ 20 მაისს მიმართა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და ამჟამად უცხადებს მას: "თუ 1996 წლის 31 ივლისამდე არ მივიღებ თქვენგან დამაკმაყოფილებელ პასუხს, ჩემს მიერ ჩადენილი ქმედებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაგეკისრებათ თქვენ. შიმშილობას არ მივმართავ, რადგან მას არავითარი შედეგი არ მოაქვს. ამჟამად ჩემს პროტესტს გამოვხატავ უფრო მძიმე ფორმით, რასაც ჰქვია თვითმკვლელობა."

# საბრძოლო მოქმედებები გრძელდება

ჩეჩნეთში გრძელდება საბრძოლო მოქმედებები... ფედერალურმა ჯარებმა ახალი შეტევა წამოიწყეს შატოისა და იტუმკალეს რაიონებში, სადაც, მათი მტკიცებით, განლაგებულია ჩეჩენთა ძირითადი სამხედრო ბაზები. შატოის 250 ჩეჩენი მებრძოლი იცავს. მათ წინააღმდეგ დაიძრა დიდძალი ბრონირებული ტექნიკა და სამი ათასამდე რუსი ჯარისკაცი, რომელთაც მხარს უმაგრებს ვერტმფრენები და საფრონტო ავიაცია. მოხდა რამდენიმე პირდაპირი შეტაკება. ორივე მხარემ განიცადა დანაკარგები. ჩეჩენი მებრძოლები ერიდებიან რუსებთან ფართომასშტაბიან ბრძოლას, რადგანაც მოწინააღმდეგე ბევრად აღემატება მათ როგორც შეიარაღების, ასევე რაოდენობრივი თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, ისინი ბოლო წუთამდე არ ტოვებენ ქალაქებსა და სოფლებს, მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მტერს. განსაკუთრებულ ხიფათს რუსებს უქმნიან ჩეჩენთა მცირერიცხოვანი მობილური ჯგუფები, რომლებიც ოპერატიულად გადაადგილდებიან მტრის ზურგში. მათი სნაიპერების მოქმედებას დემორალიზაცია შეაქვს რუსთა რიგებში.

პარალელურად, გროზნოში მიმდინარეობს შეტაკებები. შაბათს ჩეჩენი მებრძოლები თავს დაესხნენ ქალაქ შალის გამგებელს - შარიპ ალიჰაჯიევს, რომელიც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს. მისი ორი მცველი ადგილზევე გარდაიცვალა. ალიჰაჯიევი ზავგაევის აქტიური მხარდამჭერი გახლავთ. საერთოდ, მთელს ქვეყანაში მიმდინარეობს უკანონო სტრუქტურების ლიკვიდაცია. დამპყრობლები თავს მშვიდად ვერსად გრძნობენ. "მოსკოვსკიე ნოვოსტის" კორესპონდენტის თქმით, "რუსები აკონტროლებენ აეროპორტ "სევერნის" და გროზნოს ცენტრში, მთავრობის სახლის წინ მდებარე პატარა მოედანს". სწორედ რუსების მიერ კონტროლირებად ამ აეროპორტში, შაბათს იპოვეს დიდი სიმძლავრის ასაფეთქებელი მოწყობილობა.

ჩეჩნეთში ელოდებიან რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს მდივნის - ა.ლებედის და თავდაცვის ახლად დანიშნული მინისტრის - ი.როდიონოვის ჩასვლას. ამასთან დაკავშირებით, ჩეჩნეთის შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსმა - ა.მასხადოვმა განაცხადა, რომ მან მიიღო უფლებამოსილება პრეზიდენტ იანდარბიევისგან, რათა მოლაპარაკება აწარმოოს რუსეთის მხარესთან, მათ შორის გენერლებთან - ა.ლებედთან და ა. როდიონოვთან.

რუსეთის სამხედრო უწყებაში აღარ არიან გრაჩოვი, სტეპაშინი, ბარსუკოვი და სხვები, რომელთაც რუსი "დემოკრატები" "ომის პარტიის" იდეოლოგებს უწოდებდნენ. ისინი წავიდნენ სარბიელიდან, მოვიდნენ სხვები, ომი კი გრძელდება მეტი გააფთრებით. ზემოთქმული კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ვერანაირი საკადრო დემოკრატიული ცვლილებანი ვერ შეცვლის რუსეთის ხელისუფლების მტაცებლურ ხასიათს...

ომს ოკუპანტებთან დღეს მარტოდმარტო აწარმოებს ჩეჩნეთი და მის თავგანწირვას უთანასწორო ბრძოლაში დანაშაულებრივი გულგრილობით შეჰყურებს დანარჩენი კავკასია.

**დ. გიგაური**

# შეჩერდეს საქართველოს მასობრივი კრიმინალიზაცია

## ქართველი კაცის ბუნებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება მექრთამეობა არასდროს ყოფილა

იმ საზოგადოებრივმა წყობამ, რომელშიც ვიმყოფებით სამოცდაათი წლის მანძილზე, ჩვენს ცნობიერებაში გარკვეული კრიმინალური მენტალიტეტი წარმოშვა. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიურად განვითარდა სტალინიზმის ეპოქის მასობრივი რეპრესიებისა და ტერორის შემდეგ, როდესაც ხალხმა ოდნავი შვება იგრძნო.

კომუნისტები აცხადებდნენ, რომ ისინი აშენებენ სოციალურად ერთგვაროვან საზოგადოებას და აწესებდნენ შრომის ანაზღაურების გარკვეულ ზღვარს. ხელფასი კი რეალურად არავის ჰქონდა. თანდათანობით დაიწყო სახელმწიფო ქონების მასობრივი დატაცება, ხელის მოთბობა საქონლის ხარისხის გაუარესების ხარჯზე. არაყანს ვაწყალებდით, შაქარს ვასველებდით, ტრიკოტაჟის ნაკეთობებს ძაფს ვაკლებდით და ა.შ. სახელმწიფო სტრუქტურები უკვე ისეთნაირად აეწყო, რომ პარტიული ფუნქციონერების ხელმძღვანელობით, მთელი სახალხო მეურნეობა ორიენტირებული იყო საქონლისა და მომსახურების სფეროს ხარისხის დაქვეითებაზე. უკვე ვერავითარი ხარისხის ნიშნები მდგომარეობას ველარ შეცვლიდა, ვინაიდან ეს ავადმყოფური პროცესი ორგანული აღმოჩნდა არსებული სოციალური წყობისთვის.

საბჭოთა წყობის ყველაზე მანკიერი მხარე იყო მასობრივი მექრთამეობა და ე.წ. "წილოსნობა". არ დარჩა ადამიანის მოღვაწეობის არც ერთი სფერო, სადაც არ შეიჭრა ეს მავნე სენი. მთელ რიგ დარგებში თითქმის ყველა ხელმძღვანელი კორუმპირებული იყო.

ყოველი ჩვენგანი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ჩათრეული იყო არსებულ სისტემაში. საგულისხმოა - ფერეიდნელი ქართველების უკან დაბრუნების მიზეზი ის გახდა, რომ ეს მშრომელი ხალხი ვერ შეეგუა აქაურ, მათთვის გაუგებარ აღებ-მიცემობის სისტემას.

მექრთამეობა დასაბამიდან არსებობდა და იარსებებს საზოგადოებაში, მაგრამ აქ საუბარია მექრთამეობის სახელმწიფოებრივ მასშტაბებზე. რუსული ანდაზაა - "ნე პოდმაჟეშ, ნე პოედეშ". რუსეთის იმპერიაში ყოფნამ ამ თვალსაზრისით დიდი გავლენა იქონია ჩვენს მენტალიტეტზე. მექრთამეობამ რუსეთთან ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად მოიკიდა ფეხი ჩვენს ყოფიერებაში. საბას განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: ქრთამი - საცოდავი ძღვენია. კიდევ არის სხვა განმარტებები ამ სიტყვისა: საჩუქარი, გასამრჯელო რაიმე საქმის გარიგების, ან რაიმე სამსახურის გაწევისთვის (იცოდნენ ფშავში); საპატარძლოსთვის მზითევთან ერთად ფულად მისაცემი თანხა - ქართლ-კახეთსა და ფშავში. აგრეთვე ურვათი, მზითევი, შესაწირავი - ალ. ღლონტის მიხედვით. თედო სახოკიას ქართულ ანდაზებში მხოლოდ ერთი ანდაზაა ქრთამზე - ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს. მოკლედ, ქართველი კაცის ბუნებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება მექრთამეობა არასდროს ყოფილა. ილია თავის ცნობილ ლექსში მრავალი "ეპითეტით" ამკობს ქართველს: ფლიდი, ცუღლუტი, უზრუნველი, ცრუ, მაგრამ არსად აღნიშნავს ქრთამისადმი და ხაზინის ქურდობისადმი მიდრეკილებას. ეს თვისებები მართლაც არ ყოფილა დამახასიათებელი ჩვენი ხალხისთვის და, როგორც ჩანს, ეს პროცესი მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო და ჩვენს დროში კულმინაციას მიაღწია.

ფაქტობრივ ხელისუფლებას, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის მმართველს და გამგებელს, პირველ რიგში უკომპრომისო ბრძოლა უნდა გამოეცხადებინა კრიმინალური მენტალიტეტის (ვაზუსტებ - საუბარია თავად ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კრიმინალური მენტალიტეტის მოძალების შესახებ, და არა ბრძოლაზე კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ, რაც ყოველი ქვეყნის მთავრობის ბუნებრივი მოვალეობაა) აღმოსაფხვრელად. მოხდა პირიქით, მექრთამეობა ავიდა არნახულ სიმაღლემდე, მან ჰიპერტროფიული მასშტაბები მიიღო და ახალი თაობის გარყვნა-დაავადება დაიწყო. რატომ ვაფუჭებთ საგზაო პოლიციის ახალგაზრდა მუშაკს? განა არ შეიძლება ერთი ათად შევამციროთ მათი რაოდენობა, შევარჩიოთ საუკეთესონი და ათჯერ მეტი ხელფასი დავუნიშნოთ? როგორ უნდა განხორციელდეს კონტროლი? მსოფლიოში არსებობს უკვე აპრობირებული ე.წ. "მგლის" ბილეთის პრაქტიკა. ქრთამის აღებაში შემჩნეული მიიღებს მგლის ბილეთს, შევა მისი მონაცემები კომპიუტერში და ვერასოდეს იმუშავებს ნორმალურ სამსახურში. ეს ეხება საბიუჯეტო ორგანიზაციების ყველა სფეროს.

დღევანდელმა ფაქტობრივმა ხელისუფლებამ არაფერი იცის ზემოთ აღნიშნულის შესახებ, თუ არ უნდა, რომ გამოასწოროს ვითარება? ალბათ, არ აინტერესებს, მეტიც, არ სურს რაიმე შეცვალოს. კომკავშირის სკოლაგავლილი დღევანდელი მოღვაწეების ძირითადი ბირთვი ისეა ჩამოყალიბებული, რომ მისი გარდაქმნა ვერ მოხერხდება. მუშაობის ეს აპრობირებული პრინციპი კომუნისტურ გამოცდილებას ემყარება: დანიშნე კაცი, მიეცი მცირე ხელფასი, აალებინე ქრთამი... და როცა გინდა, მაშინ დაიჭერ, როცა გინდა, რაზეც გინდა ხელს მოაწერინებ, არჩევნების დროს ხმებს გამოსთხოვ და ა.შ.

დღევანდელი მოსახლეობის მასობრივი გაკრიმინალების ფესვები საქართველოში არ უნდა ვეძიოთ. რასაკვირველია, ამ პროცესების მართვა იმთავითვე იმპერიის სპეცსამსახურებში ხორციელდებოდა. მიზანდასახული ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით, ჩვენი ხალხი გაალატაკეს - (ქვეყანა ფაქტობრივად უხელფასოდ ცხოვრობს, სახელმწიფო არაფერზე აგებს პასუხს თავისი მოქალაქეების წინაშე) ხოლო დანაზოგი თუ ოჯახური ძვირფასეულობა ათასგვარი სავალუტო თუ სხვა მაქინაციების საშუალებით გამოსძალეს და სრულიად უსახსროდ დატოვეს, რაც უთუოდ გამოიწვევს სილატაკის ზღვრამდე მისული კაცის კრიმინალიზაციას.

მაგრამ მხოლოდ ეკონომიკური სანქციები არ იკმარეს. საქმეში იდეოლოგიური მექანიზმიც ჩაერთო - უკანასკნელ პერიოდში კრიმინალური მენტალიტეტის დამკვიდრება ტელევიზიით წარიმართებოდა. სულ ცოტა ხნის წინ (და ზოგჯერ დღესაც) საყოველთაოდ გაისმოდა "ქუჩის" სკოლის პროპაგანდა, რომლის გარეშე, თურმე, შეუძლებელია ჩამოყალიბდეს პიროვნება, ერისკაცი. ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი საჯარო გამოსვლებში ამაყობდა იმით, რომ მას გავლილი ჰქონდა ეს დიდი სკოლა. იმ გადაცემათა ავტორები, დროის თუ მოდის შეკვეთას აყოლილნი, ალბათ, არც კი ფიქრობდნენ, რა დიდ ცოდვას იღებდნენ საკუთარ თავზე ამ უპასუხისმგებლო მოქმედებით ქვეყნისა და ერის წინაშე. ოდინდელი ტრადიციების სანაცვლოდ კრიმინალური ღირებულებების დამკვიდრება და პოპულარიზაცია ახალგაზრდობის გახრწნას, მოშხამვას, მთელი თაობის ორიენტირების აღრევას ემსახურებოდა. წარმოიდგინეთ, რა აზრი ექნებოდა აღზრდის იმგვარ სისტემაზე, რასაც ჩვენი იდეოლოგები ქუჩის სკოლას უწოდებდნენ, იაკობ გოგებაშვილს.

ბოლო პერიოდის განუკითხაობამ და კრიმინალური ელემენტების აღზევებამ მავნე გავლენა მოახდინა ახალგაზრდებზე. დაუკარგა მათ მისწრაფება სწავლისადმი, გაუჩინა დაუსჯელობის სინდრომი; წლების მანძილზე იქმნებოდა და ჩამოყალიბდა აზრი, რომ პატიოსანი შრომით შეუძლებელია ოჯახის შენახვა, მეტნაკლებად ღირსეული არსებობა; ხოლო მორგება იმ სისტემაზე, რომელშიც წარმატებული მოღვაწეობა კანონის დარღვევის, მექრთამეობის, კორუფციის, შემოსავლის დამალვის ხარჯზე ხორციელდება - ვაჟკაცობა, კაიკაცობა, კაიბიჭობაა.

საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური თუ იდეოლოგიური სისტემა შეგნებულად უწყობს ხელს ერის მასობრივ კრიმინალიზაციას; მისი ეთნოფსიქოლოგიის დამახინჯებას, გამრუდებას; ტრადიციული, უდავოდ ზნეობრივი ღირებულებების სანაცვლოდ, ცრუ ფასეულობათა დამკვიდრებას.

საქართველო დაემსგავსა ავადმყოფს, რომელსაც, მძიმე სენთან ერთად, საშინელი წურბელები სწოვენ სისხლს. რა ვიღონოთ? როგორ მოვიშოროთ წურბელები, როგორ მოვირჩინოთ თავი? როგორ შევაჩეროთ მასობრივი დეგრადაციის ხელოვნური, მაგრამ უკვე ძალზე შორს წასული პროცესი?

**გიორგი დავითაშვილი**

ეროვნული

# ერთი კვირა პოლიტიკურ სასამართლო პროცესზე

**მას შემდეგ, რაც მოსამართლე ალადაშვილმა თავიდან მოიშორა ყველა საზოგადოებრივი დამცველი, სასამართლოს სხდომებზე ფაქტობრივად დარჩა ორი ადვოკატი (დანარჩენ ორს მათი დაცვის ქვეშ მყოფნი - ზვიად ძიძიგური და ნუგზარ მოლოდინაშვილი უნდობლობას უცხადებენ). ამასთან, ნუგზარ მოლოდინაშვილი საერთოდ დაცვის გარეშეა დარჩენილი, რადგან თვითონაც გაძევებულია დარბაზიდან... გაუადვილა კი ამ სიხალვათემ მუშაობა მართლმსაჯულების მსახურს, თუ მისი ამგვარი"სიმკაცრე" ოდენ წვრილმანი შურისძიების აქტად დარჩა?**

## რა ბედი ეწია ჩაის და ცხენებს?

მოწმეებად დაკითხულ იქნენ ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის დირექტორი ლერი ჯიქია და მისი მოადგილე მურთაზ როგავა. მათი ჩვენებიდან ცნობილი გახდა, რომ "სამეგრელოს აღორძინების ფონდს" და ფაბრიკის ადმინისტრაციას შორის 1993 წლის ივნისში გაფორმებულა ხელშეკრულება ფონდისთვის 60 ტონა ჩაის გადაცემის თაობაზე. ხელშეკრულების პირობით, ანგარიშსწორება 20 დღის ვადაში უნდა მომხდარიყო. ფონდს ჰქონდა რეკვიზიტები, რეგისტრირებული იყო ზუგდიდის გამგეობაში ო. ფაცაციას მუშაობის პერიოდში. მოწმემ არ დაადასტურა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებების ის დეტალები, რომელიც შეეხებოდა მუქარასა და დაშინებას მის მიმართ. ამან აღაშფოთა მოსამართლე და მოწმის საქციელს არაკეთილსინდისიერი უწოდა, რამაც განსასჯელ ზვიად ძიძიგურის პროტესტი გამოიწვია, ვინაიდან მოსამართლეს არა აქვს სხდომაზე შეფასებებისა და ვარაუდების გამოთქმის უფლება. იგივე ეპიზოდი, თითქმის უცვლელი სახით, გაიმეორა ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის დირექტორის მოადგილემ, მ. როგავამ. მანაც უარყო წინასწარი ძიების დროს ჩვენებაში დაფიქსირებული მუქარის ფაქტები. აღმოჩნდა, რომ ჩვენებები მოწმეთა ხელით არ არის დაწერილი, ხელი მოაწერეს მას შემდეგ, რაც გამომძიებელმა "ჩაიკითხა" ჩვენებები მათი თანდასწრებით.

მოსამართლე იმდენად აღაშფოთა მოწმეთა "არაკეთილსინდისიერებამ", რომ თავს კონტროლს ველარ უწევდა და თვითონაც ხშირად წამოსცდებოდა ხოლმე სამარცხვინო ეპითეტები შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ -"არსებული" და "ფაქტობრივი".

იმავე დღეს დაიკითხა ზუგდიდის საცხენოსნო სკოლის მწვრთნელი გრიშა ფოჩხიანი, რომელსაც თურმე გაუგია, რომ ქობალიას ხალხს მათი სკოლის თავლიდან ორი ცხენი წაუყვანია. დაკითხვისას მოწმემ ვერ დამალა, რომ კანონიერი მთავრობა მოსახლეობას არაფერს უშავებდა. არც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოქცეულან ულირსად - მოპარული ცხენები რამდენიმე დღეში უკან მოუბრუნებიათ. სამაგიეროდ, დღემდე უცნობია "მხედრიონელთა" მიერ წაყვანილი რვა ცხენის ბედი. ამგვარად, ნათელი მოეფინა ერთ პიკანტურ დეტალს - ცხენიპარიობით ცნობილ მეგრელებს ამ სფეროში დისკვალიფიკაცია მიუღიათ, ხოლო დემოკრატიისა და ევროპული ცივილიზაციის მისიონერებს - თბილისელ "მხედრიონელებს" ოდენ ავტომანქანების მიტაცებით კი არ მოუხვეჭიათ სახელი, ჯირითსა და ცხენოსნობაშიც ტოლი არავისთვის დაუდიათ.

## რა მოხდა ფოთში

სასამართლო პროცესზე მოწმეებად წარდგნენ ქალაქ ფოთის იმდროინდელი ბიუროკრატიული ელიტის წარმომადგენლები: მერი - რომან მელია, ვიცე-მერები - გურამ ყოლბაია და ირაკლი მოწერელია, მერიის კანცელარიის უფროსი - თენგიზ ქოიავა, აგრეთვე ფოთის პორტის თანამშრომლები - როგორც თანამდებობის პირები, ასევე უბრალო მოკვდავნი - თბომავლის კაპიტნები, დისპეტჩერები, დაცვის წევრები, პოლიციელები და მძღოლები. მათი ჩვენებები წინააღმდეგობრივი არ ყოფილა. ვერც იმას ვიტყვით, რომ რომელიმე მოწმეს განსაკუთრებული სიძულვილი ეტყობოდა კანონიერი ხელისუფლებისა. თვით იმპოზანტური მერი - მელია ცდილობდა, ხაზი გაესვა, რომ ადრეც ქობალიასთან "ყოველთვის კაცურად" იქცეოდა: "მოსახლეობის დაცვას და წესრიგის დამყარებას ჩვენ ისე ვერ ვუწევდით კონტროლს, როგორც ამას ექსპრეზიდენტის მომხრეები ახერხებდნენ". მერმა აღიარა, რომ კანონიერი ფორმირებების ქალაქიდან გასვლის შემდეგ სამთავრობო ჯარებმა და მოსახლეობამ საწყობებიდან დიდძალი საქონელი დაიტაცა, ხოლო რუსეთის სამხედრო ნაწილები ნოემბრის ბოლოს შემოყვანილ იქნა სტაბილიზაციის აღსადგენად.

ფოთის ნავსადგურისა და პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა ხორციელდებოდა უკონფლიქტოდ, ძალადობას და სისხლიან შეტაკებებს ადგილი არ ჰქონია. სამეურნეო დარგის მუშაკები განაგრძობდნენ თავის ჩვეულ საქმიანობას. ვაშაძის ხელმოწერით გაიცემოდა ფქვილი მრავალშვილიან ოჯახებზე, რაც დაადასტურა მოწმე ვახტანგ სადრაძემ. მოწმე ჯემალ სოსელიას ჩვენებით, 3 ტონა დიზელის საწვავი გაუნაწილდა წარმოებებს - პურკომბინატს, საავადმყოფოს, ფოსტას, ავტობუსების პარკს. მოწმემ აღნიშნა, რომ ის 25 დღე, როცა ქალაქს ქობალიას შენაერთები აკონტროლებდნენ, "ხალხმა ამოისუნთქა, არც მაროდიორობა იყო, არც ძარცვა".

## კვლავ ბერძენხელია

ეს მოწმე გამოცდილთა რიცხვს მიეკუთვნება. იგი დაკითხული იყო ბადრი ზარანდიას სასამართლო პროცესზე, ჩეჩენი ბოევიკების შემოყვანასთან დაკავშირებით. მას მოსთხოვეს დაწერილებით აღეწერა მარშრუტი, რომელიც შეასრულა ოჩამჩირედან ხობში და უკან. ავტობუსის მძღოლი ზურაბ ბერძენხელია დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მწვანე თავსაფრიანი ხალხი მას არ გადმოუყვანია; ავტობუსში, რუსულის გარდა, მეგრული საუბარიც ისმოდა; სულ იყო 30 (და არა 40) მებრძოლი; ხობის შესასვლელთან ლოთი ქობალია არ უნახავს; ხობში მათ დაჰყვეს არა 3 საათი, არამედ 15 წუთი და მისი ავტობუსიდან გადმოსულ პირებს ბრძოლაში უშუალო მონაწილეობა არ მიუღიათ.

მოსამართლე გამუდმებით "ახსენებდა" მოწმეს წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს, რამაც ადვოკატ ფანჩველაშვილის პროტესტი გამოიწვია: "ჯერ დაკითხეთ და მერე წაუკითხეთ თავისი ჩვენება, ნუ შეახსენებთ... ეს პირველი შემთხვევა არაა".

## ძველი ჩეკისტები და კომუნისტები სიმართლეს ამბობენ

ქალაქ სენაკის სუკ-ის უფროსმა, 1993 წელს კი გამგეობის თავმჯდომარემ გურამ ადამიამ, მიუხედავად თავისი არაკეთილგანწყობისა ეროვნული ხელისუფლების მიმართ, ილაპარაკა სამთავრობო შენაერთებისა და "მხედრიონის" მიერ სენაკის დარბევა-დაწიოკების შესახებ. თქვა, რომ მობილიზაცია მოხერხდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი ქობალიამ გამოაცხადა, რადგან "იმის უარყოფა შეუძლებელია, რომ ყოფილ პრეზიდენტს უჭერდა მხარს და ახლაც უჭერს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი. საუბედუროდ, ამან მიგვიყვანა ომამდე." მისი გამგებლობის პერიოდში სენაკში ყოფილა გამოსვლები პურის უხარისხობის გამო და თურმე მას სახლშიც მიუვარდნენ; ხოლო როცა შევარდნაძე სამეგრელოში ჩავიდა, მას "დახვდნენ ე.წ. შავოსნები, ესროლეს კარტოფილი, პამიდორი..."

მარტვილის გამგეობის სტატისტიკური განყოფილების უფროსმა ელვარდ გეგეჭკორმა სასამართლოს ამცნო, რომ იგი არამცთუ არ ცნობს ეროვნულ ხელისუფლებას, არამედ არც არასოდეს უცვნია: "მე პარტიამ აღმზარდა და ამ რწმენით ვიცხოვრე... შევარდნაძის ხელში გაჩხარდე, მის გარეშე ერთი დღე ნუ მაცხოვროს ღმერთმა..."

მიუხედავად იმისა, რომ ე.გეგეჭკორი თარიღებს ურევდა (კანონიერების აღდგენა მარტვილში სოხუმის დაცემამდე 3 დღით ადრე მოხდაო), შესანიშნავად ახსოვდა: როგორ შემოვიდა მარტვილში ტანკი, რომელშიც რუსი სამხედროები იყვნენ; ატეხეს სროლა, ტანკი დაეჯახა საცხოვრებელ სახლს, დაიღუპა ოჯახი; ასევე დაიღუპა კანონიერი გვარდიის წევრი დანელია, რომელიც მონაწილეობდა ამ ტანკის ლიკვიდაციაში; "თვითმფრინავიდან 4 ბომბი ჩამოაგდეს, დაინგრა უნივერმაღი, რომელიც, ალბათ, შტაბი ეგონათ, ორი სახლი, მათ შორის ჯიშკარიანების... თვითმფრინავი, ალბათ, სამთავრობო ჯარების იყო..."

ზვიად ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ბევრად ადვილია ასეთ მოწმეებთან მუშაობა, ვიდრე იმათთან, ვინც არც იქითაა და არც აქეთ და მადლობა გადაუხადა გულწრფელობისა და მნიშვნელოვანი ფაქტების მოწოდებისთვის.

## "გააცილეთ მოწმე!"

19 ივლისს სიცხითა და ფუჭი ლაპარაკით გათანგულ დარბაზში შემოიყვანეს ბოლო მოწმე - ვინმე ბუალავა სოფელ თეკლათიდან. აღმოჩნდა, რომ იგი იკითხება მის ეზოში ოთხი პირის დახვრეტის ეპიზოდთან დაკავშირებით, რომელშიც არ არის დადგენილი განსასჯელად წარმოდგენილ პირთაგან რომელიმეს მონაწილეობა.

პირველმა პროტესტი გამოთქვა ვახტანგ ქობალიამ. მის პროტესტს ჯამბულ ბოკუჩავა და ზვიად ძიძიგურიც შეუერთდნენ. პროკურორმა "დაამშვიდა" განსასჯელები - ნუ გეშინიათ, ეს საქმე ჯერ კიდევ ძიებაშია და 104-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) იგი თქვენ არ გეხებათ, მხოლოდ 78-ე მუხლის (ბანდიტიზმი) საფუძველზე შეგეხებათო. ამაზე ზვიად ძიძიგურმა გამოთქვა პროტესტი - "104-ე მუხლით თქვენი ვერ გაიტანეთ და ახლა 78-ე მუხლით გინდათ განაჩენის გამოტანაო".

ნიშანდობლივია, რომ მოწმის მიერ სასამართლოზე და წინასწარ ძიებაში მიცემული ჩვენებები სრულიად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან: სასამართლოზე მოწმემ განაცხადა, რომ ცოლშვილი გახიზნული ჰყავდა სოფელში, რომ დახვრეტის მომენტი მას არ უნახავს - სახლის უკან იყო დამალული, გარკვევით არ დაუნახავს დამნაშავეები, მხოლოდ შემდეგ ნახა მოკლული ოთხი ადამიანი; წინასწარ ძიებაში მიცემული ჩვენების თანახმად კი, მისმა მეუღლემ სისხლიანი ხელებიც კი დააბანინა მკვლელს, რომელმაც უთხრა - უკვე ორი კაცი მოვკალიო. თავად მოწმეს ისიც უნახავს, მაყუჩიანი რევოლვერით როგორ მოუკლავთ ოთხი დაკავებული პირი.

ამ შეუსაბამობათა გამო, შეიძლება ითქვას, მოსამართლე ალადაშვილმა პირდაპირი ფსიქოლოგიური ტერორი განახორციელა მოწმეზე - "მაშინ უფრო კარგად არ გემახსოვრებოდა, ვიდრე ახლაო". ხოლო როდესაც დაინახა, რომ არც ეს ჭრის, სასწრაფოდ დახურა სხდომა შეძახილით - "გააცილეთ მოწმე"...

**ს. გურამიშვილი**

---

# "მოლოდინაშვილს შეუძლია გასცეს სახელმწიფოსთვის საზიანო ინფორმაცია"

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიის ცნობით, ნუგზარ მოლოდინაშვილს 16 ივლისს საპატიმროში შეხვდა პატიმართა საქმეების საპარლამენტო ქვეკომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე და შეჰპირდა მას გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლებთან შეხვედრის ორგანიზებას.

ამავე დროს კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ მოსამართლე ალექსანდრე ალადაშვილი და პროკურატურის მესვეურები უარს აცხადებენ ამგვარი შეხვედრის მოწყობაზე იმ მოტივით, რომ ნუგზარ მოლოდინაშვილს შეუძლია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საელჩოების წარმომადგენლებისთვის გასცეს სახელმწიფოსთვის საზიანო ინფორმაცია. აგრეთვე მიიჩნევენ, რომ მოშიმშილე პოლიტპატიმართან შეხვედრა წარმოადგენს სასამართლოს საქმეებში ჩარევას.

ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია გამოხატავს გაოცებას იმის გამო, რომ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში პატიმრობაში მყოფი ნუგზარ მოლოდინაშვილი შესაძლოა ფლობდეს სახელმწიფოსთვის საზიანო ინფორმაციას.

ყოველივე ეს კომიკურად და ოდიოზურად ჟღერს მაშინ, როდესაც საქართველოს ფარგლებს გარეთ დაუბრკოლებლად იქნა გაშვებული და დღესაც თავისუფლად გასცემს ინფორმაციებს ამჟამად ტერორიზმში მხილებული პიროვნება, უშიშროების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი. ამასთან, წინასწარი ძიებისა და საქმის სასამართლო განხილვის ყველა ეტაპზე უმაღლესი სახელმწიფო მოხელეები, ე. შევარდნაძის ჩათვლით, უხეშად არღვევდნენ უდანაშაულობის პრეზუმფციას და განსასჯელად წარმოდგენილ პირთა მიმართ პირდაპირი ბრალდებებით ზეწოლას ახდენდნენ სასამართლოზე. ამის შესახებ არაერთხელ მიუთითა მოსამართლე ა. ალადაშვილს პირადად ნუგზარ მოლოდინაშვილმა, ისიც კი დასძინა: "მე დავიცავ სასამართლოს უფლებების დაცვით".

კომისია მიიჩნევს, რომ პროკურატურისა და მისი მარიონეტის, ალექსანდრე ალადაშვილის განცხადებები წარმოადგენს კანონისა და საერთაშორისო ნორმების ცინიკურ დაცინვას.

მაშინ, როდესაც "პროვინციულ ფაშიზმად" წოდებულ ხანაში პოლიტპატიმრებად მიჩნეული პირები პრეს-კონფერენციებს მართავდნენ იზოლატორში, დღეს - "მზარდი დემოკრატიის" პირობებში - მსგავსი იგნორირება საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებების, მიუხედავად მათი მონური მორჩილებისა არსებული ხელისუფლებისადმი, წარმოადგენს თავად ამ ხელისუფლების საზიანო ფაქტს და მეტყველებს საქართველოში დამყარებული რეჟიმის შინაარსზე.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს:

**ნუგზარ მოლოდინაშვილის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე!**

ჰელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისია მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საინფორმაციო საშუალებებს, მისცენ ფართო რეზონანსი ამ ფაქტებს, თავადვე გამოიჩინონ აქტიურობა, მოითხოვონ მოშიმშილე პოლიტპატიმართან შეხვედრა და ობიექტურად ასახონ შექმნილი ვითარება.

---

მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში 20 ივლისს, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა ასოციაციის ეგიდით, გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა უზენაეს სასამართლოში მიმდინარე უზნაესი საბჭოს წევრების - ზვიად ძიძიგურისა და ნუგზარ მოლოდინაშვილის, სამხედრო ტყვეების - ვახტანგ (ლოთი) ქობალიასა და ჯამბულ ბოკუჩავას საქმის სასამართლო განხილვის მსვლელობას.

პრესკონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ განსასჯელებად წარმოდგენილთა საზოგადოებრივი დამცველები და ახლობლები, გახსნა ასოციაციის პრეზიდენტმა გიორგი კერვალიშვილმა. მან განუცხადა ჟურნალისტებს, რომ ასოციაციის მიერ სასამართლო პროცესზე წარდგენილი ოთხივე საზოგადოებრივი დამცველი, სხვადასხვა ფორმალური მიზეზით, გაძევებულ იქნა სხდომათა დარბაზიდან მოსამართლე ალადაშვილის უკანონო გადაწყვეტილებით და, ამასთან, სასამართლო კოლეგიამ საჭიროდაც კი არ ცნო ამის თაობაზე შეტყობინება გაეგზავნა ასოციაციისთვის. მან შეახსენა ჟურნალისტებს, რომ სასამართლოზე დაშვებულ უკანონობათა შედეგად, 10 ივლისს შიმშილობა გამოაცხადა ნუგზარ მოლოდინაშვილმა, ხოლო 12 ივლისს - ქობალიას საზოგადოებრივმა დამცველმა, თამილა ლომიშვილმა.

თამილა ლომიშვილმა განუმარტა დამსწრეთ, რომ მისი პროცესიდან ჩამოცილება ფორმალურად მოხდა იმ მოტივით, თითქოს იგი უნდა დაიკითხოს მოწმედ, ვინაიდან მუშაობდა კანონიერი გვარდიის პრესცენტრში. მაგრამ მას შემდეგ, რაც იგი ესწრებოდა სასამართლო პროცესის მთელ მსვლელობას, მონაწილეობდა 60-ზე მეტი მოწმის დაკითხვაში და ადვოკატთან შეთანხმებით მოქმედებდა, მისი მოწმედ დაკითხვა ეწინააღმდეგება საპროცესო კოდექსს.

ნუგზარ მოლოდინაშვილის საზოგადოებრივმა დამცველმა, გიორგი ხოშტარიამ ხაზი გაუსვა, რომ ხელისუფლება ცდილობს იმგვარად წარმოსახოს საქმე დასავლეთის თვალში, თითქოს საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის მიზეზია საბჭოური ინერციის არსებობა, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა არაპროფესიონალიზმი და არა გამიზნული სახელმწიფო პოლიტიკა. მისი თქმით, განსასჯელთა უფლებების ასეთი უხეში და ცინიკური შელახვა, თვალსაჩინო კანონდარღვევები, რომელსაც ადგილი აქვს ამ სასამართლო პროცესზე, ადასტურებს საწინააღმდეგოს. "სიტუაცია წინა წლებთან შედარებით არაფრით გაუმჯობესებულა: ადრეც მაგდებდნენ პროცესიდან და ახლაც, მაგრამ ადრე თუ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ გედი გელბახიანთან საპატიმროში მაინც მიშვებდნენ, ახლა მოშიმშილე ნუგზარ მოლოდინაშვილთან შეხვედრის უფლებაც არ მაქვს."

გოგი ხოშტარიას აზრით, ლოგიკურია ისიც, რომ სასამართლო განსაკუთრებით ებრძვის საზოგადოებრივ დამცველებს, რომლებიც უფრო თავისუფალნი და გაბედულნი არიან, ვიდრე ადვოკატები, რომელთა პროფესიული საქმიანობა მთლიანად დამოკიდებულია ხელისუფლებაზე.

ლია ბერუაშვილის თქმით, თითქმის ყოველი განსასჯელის დაცვის უფლება შელახულია და რეალურ დაცვაზე ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ სასამართლოს მხრიდან დარღვევები მხოლოდ დაცვის უფლების შელახვით არ შემოიფარგლება და ამიტომ განსასჯელებმა, შუამდგომლობის სახით, სავსებით არგუმენტირებულად დასვეს სასამართლო კოლეგიის აცილების საკითხი.

## განაჩენი უკვე გამოტანილია

ადვოკატმა თემურ გოქსაძემ განაცხადა, რომ ამ და ზვიად გამსახურდიას მომხრე სხვა განსასჯელთა მიმართ განაჩენები პრაქტიკულად წინასწარაა გამოტანილი იმ განაჩენებით, რომელიც უკვე მიღებულ იქნა ე.წ. ძირითადი საქმიდან გამოყოფილ სხვა საქმეებზე უზენაესი თუ საქალაქო სასამართლოების მიერ. ამ განაჩენების საფუძველზე ძირითად საქმეში ბრალდებულად დასახელებული ყველა სხვა პირი წინასწარაა ცნობილი დამნაშავედ და ახლა ლაპარაკია მხოლოდ სასჯელის ზომაზე.

---

**პოლიტპატიმრები სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ**

ავჭალის საპატიმრო კოლონიის პოლიტპატიმრები ვუერთდებით მოთხოვნას, რომ საქართველოში გაუქმდეს სიკვდილით დასჯა. დაუყოვნებლივ შეჩერდეს ყველა სასიკვდილო განაჩენის აღსრულება.

**ზაურ ქობალია, ვალტერ შურღაია, გივი კალმახელიძე, ზურაბ რაფავა, ვიქტორ დომუხოვსკი, დათო ტალაშვილი, ნემო ჭანტურია, მურმან ჯინჭარაძე, სოსო კუპრავა, ზურაბ ბარძიმაშვილი, გელა სახლთხუციშვილი, ზურაბ გოგიჩაშვილი, ომარ ღუღუნიშვილი, გოდერძი ჯოჯიშვილი, შაქრო ჭეჟია, ლევან ბაძაღუა, ბორის მჭედლიძე, რამინ ხაცავა, თეიმურაზ კაპანაძე.**

კონსტანტინე გამსახურდია

# ზვიად გამსახურდია

## დისიდენტი - პრეზიდენტი - მოწამე

(წიგნი იბეჭდება მცირე შემოკლებით და ავტორისეული დამატებებით)




### მეათე თავი
### კონფლიქტი აფხაზეთში

აფხაზეთში მეტად რთული მდგომარეობა იყო. საბჭოთა რუსეთის აგენტები ჯერ კიდევ 1920 წლიდან აქეზებდნენ აფხაზებს, რომ ქართველებს დაპირისპირებოდნენ. აფხაზები ამ საქმეში მხარდაჭერას ისევ საბჭოეთს სთხოვდნენ და დახმარებაც არ აყოვნებდა.

მენშევიკებმა აფხაზებს შეზღუდული ავტონომიური უფლებები მიანიჭეს, მაგრამ საბჭოთა პროპაგანდა ცდილობდა, თავისუფალი საქართველო "დიდ საფრთხედ" დაესახა აფხაზეთისთვის.

იმ პერიოდში სოხუმში ფუნქციონირებდა "სახალხო საბჭო" პროქართული ხელმძღვანელობით. სრულიად აფხაზეთის არისტოკრატია ქართული ორიენტაციისა იყო. ეს განწყობილება რადიკალურად შეიცვალა საქართველოდან მენშევიკთა განდევნის შემდეგ. შეიქმნა "აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკა", "საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მსგავსად". საბჭოთა სისტემის განუკითხაობის შესაბამისად, უძველესი დროიდან საქართველოს კუთვნილი აფხაზეთის პროვინცია გამოცხადდა "ავტონომიურ რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში". სტალინის ხელისუფლების დროს მმართველობის ყველა ლოკალური საკითხი გაიყინა. ასევე თავიდან მოიშორეს სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტები.

მსგავს სიტუაციაში წამოტივტივდა დიქტატორის ძველი რევოლუციონერი თანამებრძოლი ნესტორ ლაკობა, რომელსაც 1935 წლამდე აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა. ლაკობას "დაცემა" ასე დაიწყო - იმ წლის ზაფხულში "ხალხის მამამ" სოხუმში დასვენება ინება. მან მოტორიანი ნავით გასეირნების სურვილი გამოთქვა. თან ახლდნენ ბერია და ლაკობა. როცა ბელადები საკმაოდ შორს იყვნენ ნაპირისგან, უცებ სწრაფად ჩაუქროლა ტორპედოიანმა კატარღამ, ცეცხლი გაუხსნა მათ და ისევ გაუჩინარდა. სტალინი განრისხდა. მან ლაკობა დაადანაშაულა ამ უცერემონიო თავდასხმის ორგანიზებაში. ამ ინციდენტიდან რამდენიმე დღის შემდეგ ლაკობა თბილისში გამოიძახეს. მალე შეიტყვეს, რომ მანამდე სრულიად ჯანმრთელი კაცი თბილისში გულის შეტევით გარდაიცვალა.

სტალინმა თანდათანობით გაანადგურა ყველა ქართველი ნაციონალისტ-ბოლშევიკი. ამ ბოროტმოქმედებით ის ცდილობდა, გაებათილებინა რუსეთში დამკვიდრებული აზრი, რომ თითქოს იგი სამშობლოს პრივილეგიებს ანიჭებდა. სტალინისთვის ერთადერთი სამშობლო არსებობდა - საბჭოთა იმპერია.

ბრეჟნევის ხელისუფლების პერიოდში ძველი დაპირისპირებები თანდათანობით გაღრმავდა. აფხაზეთის ადმინისტრაციის მმართველი კომუნისტები ატარებდნენ ლენინლაკობას ხაზს, იქ მცხოვრები ქართველებისთვის კი ცილისმწამებლურ პოლიტიკას მიმართავდნენ. ისინი მენშევიკთა შეცდომებს ზოგადად ქართველებზე ავრცელებდნენ, რითაც კვლავ გამძაფრდა ძველი დაძაბულობა. ცხადია, ამგვარი მტკიცებები ქართველთა გაღიზიანებას გამოიწვევდა, რადგან არაფრით შეესაბამებოდა ფაქტებს.

იმ პერიოდში აფხაზეთის მოსახლეობა მილიონს აღწევდა. მათგან 19 პროცენტი აფხაზები იყვნენ, 44 პროცენტი - ქართველები, 36 პროცენტი - რუსები. ასევე ცხოვრობდნენ სომხები, ბერძნები და სხვები.

მნიშვნელოვან თანამდებობათა 80 პროცენტი აფხაზებს ეკავათ. ამას მოსახლეობის უმრავლესობა - ქართველობა - მტკივნეულად განიცდიდა, მაგრამ ამ თემაზე ხმამაღლა ლაპარაკის უფლება მათ არ ჰქონდათ. თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის დანიშვნა გადიოდა შემდეგ გზას: მოსკოვი - თბილისი - სოხუმი. ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც შემდგომში ძალიან მალე საქართველოს პარტიის ხელმძღვანელი გახდა, კარგად ესმოდა, როდის და საით უნდა გადახრილიყო მოსკოვიდან ქარის ყოველ წამობერვაზე. ის თანამშრომლობდა მიხაილ სუსლოვთან, პოლიტბიუროს იდეოლოგიან, ქართველთა მოძულესა და აფხაზეთის კონფლიქტის ერთ-ერთ ინსპირატორთან.

გასაკვირი მახინჯდებოდა ისტორია. ასწავლიდნენ, რომ აფხაზეთი შუა საუკუნეებში დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო და საქართველოს მის მიმართ კოლონიზატორული ინტერესი ჰქონდა. სინამდვილეში კი გაერთიანებული საქართველოს იდეა მე-9 საუკუნეში თავად აფხაზეთში ჩაისახა. მას შემდეგ ბაგრატიონები იყვნენ "ქართველთა და აფხაზთა მეფეები": ქვეყნის მრავალ სამეფოდ და სამთავროდ დაყოფის პერიოდშიც კი აფხაზეთი კვლავ საქართველოს ნაწილად რჩებოდა. 1917 წლამდე აქ კულტურულ ენად ქართული ითვლებოდა. გასაბჭოების შემდეგ აფხაზური სალაპარაკო ენა გარდაიქმნა კულტურულ ენად. თავდაპირველად ის ქართული ასოებით იწერებოდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი - კირილიურად. ეს ხდებოდა აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფის და რუსეთის შემადგენლობაში გაერთიანების მიზნით. ამის შესახებ არსებობს აფხაზთა ცინიკური გამონათქვამი: "გუბეში დახრჩობას, ისევ ოკეანეში დახრჩობა ჯობს". თავისთავად ცხადია, საბჭოთა სისტემაში რუსული ენის ცოდნის საჭიროება თანდათან რუსეთთან დაახლოებას იწვევდა. ეს ტენდენცია არამარტო აფხაზეთში, არამედ სხვა რეგიონებშიც შეინიშნებოდა. რუსული ენა სალაპარაკო, წერის და სწავლების ენად აქციეს, რაც დიდი დარტყმა იყო ქართული კულტურისთვის. თუმცა, ამ მოვლენამ ღრმად ვერ მოიცვა ადამიანთა სულების სიღრმე. ეს მოგვიანებით გამოვლინდა, როცა აფხაზებმა უდიდესი სიმპათია გამოამჟღავნეს ზვიად გამსახურდიასადმი.

სუსლოვის და ბრეჟნევის გარდაცვალების შემდეგ აფხაზეთში მდგომარეობა დაწყნარდა. მაგრამ ქართული განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებასთან ერთად კვლავ აირია. სეცესიონისტურმა მოძრაობამ უმაღლეს წერტილს ლიხნში 1988 წელს მიაღწია, როცა აფხაზებმა საქართველოდან გამოყოფა და რუსეთთან გაერთიანება მოითხოვეს. შემდეგ წელს მოხდა პირველი შეტაკება აფხაზებსა და ქართველებს შორის. ამ მოვლენებს 20 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მომხდარით შეშფოთებულმა და აღელვებულმა ხალხის ტალღამ სპონტანურად იხუვლა აღმოსავლეთ აფხაზეთის წმინდა ქართული რეგიონიდან და სამეგრელოდან. ცელებით, ფიწლებით, ტყვიამფრქვევებით შეიარაღებულნი სოხუმისკენ გაემართნენ. როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, მოხდა ნამდვილი სასწაული. გამოჩნდა ორი მამაცი ადამიანი - ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა - რომლებიც წინ აღუდგნენ ხალხის გამძვინვარებულ მასას. მათ შეძლეს აღელვებული ხალხის დაწყნარება, განრისხებულთა გონს მოყვანა, დამშვიდება და სახლში დაბრუნება (ზუგდიდთან ზვიადი და მერაბი ერთად იყვნენ, ღალიძგაზე მერაბი მარტო იყო). მიზანმიმართულად ინსპირირებული კონფლიქტი ამჯერად ჩაწყნარდა.

მეორე რესპუბლიკის არსებობის პერიოდში აფხაზეთში მეტნაკლებად სიმშვიდე იყო. ვლადისლავ არძინბამ - აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - გაითვალისწინა აფხაზი ხალხის სიმპათიები გამსახურდიასადმი და თავი შეიკავა სეცესიონისტური გამოხდომებისგან (ამასთან დაკავშირებით ურიგო არ იქნება იმის გახსენება, თუ როგორ მიაწერეს სამოციან წლებში აფხაზებმა კონსტანტინე გამსახურდიას სახლს ლიძავაში თავიანთ ენაზე შემდეგი სიტყვები: "შენი სახლი ჩვენი ციხესიმაგრეა").

აფხაზებმა მიიღეს პრეზიდენტის შემრიგებლური, დამაშოშმინებელი წინადადება. ეს იყო კანონი საპარლამენტო არჩევნების შესახებ. ამ კანონის თანახმად, აფხაზები პარლამენტში ხმათა 51 პროცენტს მიიღებდნენ, ხოლო ხალხის დანარჩენი ნაწილი 49 პროცენტით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ამას საქართველოს პრეზიდენტმა მოაყოლა ვეტო - კანონი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის წინააღმდეგ. ეს მისაღები წინადადება უნდა ყოფილიყო ორივე მხარისთვის. ასეც მოხდა, რადგან ამ კანონმა მშვიდობა დაამყარა. თუმცა, გამსახურდიას მოწინააღმდეგე პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ამას "ფაშისტურ მანევრად" ნათლავდნენ.

მალე, როგორც კი საშუალება მიეცა, სამხედრო საბჭომ ეს საარჩევნო კანონი გააუქმა. არძინბამ განაცხადა, რომ არ იცოდა, ვისთან ეთანამშრომლა, რადგან საქართველოში ლეგიტიმური მთავრობა აღარ იყო. ამ მოვლენებმა სიტუაცია ომისკენ წარმართა. ამასობაში აფხაზეთის ქართველები ატარებდნენ მიტინგებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით. მათი გამოსვლები არ დაურბევიათ. მათში აფხაზებიც იღებდნენ მონაწილეობას. დაიწყო ოპოზიციური გაზეთების გამოსვლა. ასე იქცა სოხუმი აჯანყების ცენტრად თბილისის უზურპატორთა წინააღმდეგ.

გერმანულიდან თარგმნა
**თამარ იაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

---

## TAVISUPALI SAKARTVELO
## (FREE GEORGIA)
## № 27 (in brief)
## 23 - 29 July 1996

### The Verdicts are Already Pronounced

On July 20 in the house-museum of Mreab Kostava the press conference was held under the aegis of Human Rights Association of Georgia. The press-conference was devoted to the course of the ongoing Court Hearing of the case of the members of the Supreme Council of the Republic of Georgia Mr. Zviad Dzidziguri, at the Supreme Court and Mr. Nugzar Molodinashvili and the prisoners of war Mr. Vakhtang (Loti) Kobalia and Mr. Jambul Bokuchava.

The press-conference in which participated the public defenders and relatives of the defendants was opened by the President of the Association Mr. Giorgi Kervalishvili. He said to the journalists that all four public defenders presented by the Association to the Court Hearing had been removed from the trial under various formal causes by he unlawful decisions of the judge Aladashvili. Mr. Kervalishvili reminded the journalists that Mr. Nugzar Molodainashvili declared the hunger-strike on July 10 as a token of the protest against unlawfulness reigning at the Court Hearing, and on July 12 he was joined in his hunger-strike by the public defender of Mr. Kobalia, Mrs. Tamila Lomishvili.

Mrs. Tamila Lomishvili explained to the audience that she was removed from the trial under the formal claim that she had to be interrogated as a witness since she used to work in the press-center of the lawful Guards. However after she had participated in the whole course of the trial, in the interrogation of more than 60 witnesses and was acting under mutual agreement with the lawyers her interrogating as a witness contradicted the Laws of the Code of Practice

The public defender of Mr. Nugzar Molodinashvili, Mr. Giorgi Khoshtaria stressed the fact that the authorities were trying to present to the Western Countries the facts of human rights abuse in Georgia as the result of the existing Soviet inertia, lack of professional skills in the law and order officers rather than the purposeful state policy. "The situation has not improved compared to the past years: I was removed from the trial earlier and I am removed exactly in the same way now. The only difference is that while in previous years I was at least allowed to visit the defendant under my defense Mr. Gedi Gelbakhiani in the prison, today I am deprived of the right to see Mr. Nugzar Molodinashvili who is now on a hunger-strike.

"Mr. Gogi Khoshtaria considers it only logical that the Court is particularly strict towards the public defenders who are more free and bold than the lawyers, whose professional activities entirely depend on the authorities.

The lawyer Mr. Temur Goksadze stated that the verdicts for these defendants as well as for all other defendants who were supporting Zviad Gamsakhurdia practically had already been pronounced basing on the verdicts pronounced in other Cases separated from the so-called major Case by the Supreme and Municipal Courts. According to these verdicts all other persons defined in them as defendants are a priori recognized guilty and the present Court Hearings are mainly engaged with the problem of deciding the degree of the punishment.

### "Molodinashvili Can Publicize the Information which Could Be Harmful to the State

According to the information of the Human Rights Commission of Helsinki Union of Georgia Mr. Nugzar Molodinashvili was visited in prison on July 16 by the Chairman of the Parliament Sub-Commission for the Prisoners Mrs. Elene Tevdoradze who had promised him to organize his meeting with the representatives of the United Nations.

At the same time it became known to the Commission that the judge Alexandre Aladashvili and leaders of the Prosecutor's Office refuse to arrange such meeting under the pretense that Mr. Nugzar Molodinashvili can publicize the information which would be harmful to the State. They also believe that meeting with the prisoner on hunger-strike is interference into the course of the Court hearing.

The Human Rights Commission of Helsinki Union expresses its surprise in relation to the fact that Mr. Nugzar Molodinashvili who is under the arrest more than a year and a half could possibly have information which would be harmful to the State.

All this sounds very comically and notoriously especially considering the fact that the person who has been exposed in terrorism, the former chief of the Security Service Mr. Igor Giorgadze was readily let out of Georgia and now is freely publicizing information available to him. At the same time in the course of the preliminary investigation of the Case as well as at all stages of the Court hearing the representatives of the highest echelons of the authority including E. Shevardnadze were roughly violating the presumption of innocence and were exerting pressure on the Court by direct accusations of the defendants. Of this facts more than once was informed the Judge Aladashvili.

The Commission believes that the statements of the Prosecutor's Office and its puppet judge Aladashvili are the cynical mockery on the Law and International Norms.

While in the period called now "provincial fascism" the persons considered as political prisoners were holding press-conferences in the prison, today under the conditions of the "growing democracy" the ignoring of the norms of the International Justice and Human Rights on the part of the Court representatives servile as they are to the existing authorities is the fact unfavorable to these very authorities and exposes the essence of the regime established in the present-day Georgia.

The Human Rights Commission of Helsinki Union is authorized to declare:

The life of Mr. Nugzar Molodinashvili is endangered!

The Human Rights Commission of Helsinki Union appeals to the International Organizations and Mass Media to have broad repercussions in relation to the above facts, show their own initiative and demand meeting with the political prisoner on hunger-strike and then provide the objective picture of the created situation.

### Dispersal of the IDPs in Khobi

At the end of June, approximately on June 20-25, about 3000 IDPs from Gali who are residing temporarily in Khobi who had not received any humanitarian aid since January 1996 and were left only with insignificant money end blocked the central motorway leading to Khobi as a token of protest.

Among those who participated in the piquet were women, children and elderly people. The head of the Khobi Police Mr. Shelia threatened them that unless they voluntarily stopped their action within 15 minutes they would be dispersed forcibly.

Indeed, exactly 15 minutes later the detachments of special destination called from Senaki started the dispersal of the refugees using the heavy tanks: they opened fire in the air through machine-guns and then using the truncheons dispersed the participants of the piquet. They were chasing the women and children to the railroad unmercifully beating them; about 10 women were arrested and kept in the police station till 10 p.m. - they wanted to know the names of the organizers.

Unfortunately, the refugees like all other population are so terrorized by the arbitrariness of the police regime that they refused to give their names. For the same reason similar information reach us with significant delay. However it is noteworthy that the piquet was witnessed by the representative of the UN whose car had to stop because the motorway was blocked. The participants of the piquet explained to him the reason of their protest action and told him that the humanitarian aid allotted by the UN had never reached them. What measures have been undertaken by the representative office of the UN in Georgia remain unknown to us.

### Soso Zhgenti is Going to Commit Suicide as a Token of Protest

He has made this statement in his letter sent on July 12 to the Chairman of the Supreme Court Mr. Mindia Ugrekhelidze. The prisoner of war Mr. Soso Zhgenti is suffering from diabetes mellitus to treat which is impossible not only under the conditions of the isolator. Irrespective of this, his case under the pretense of the illness of the prisoner has been separated from Case # 7495927 notwithstanding the protests of his lawyer and other defendants.

Mr. Zhgenti from the very beginning was demanding to be returned to the Court Hearing and he even declared a hunger-strike since April 8 with this demand. As it is said in his statement on the 12th day of his hunger-strike he was visited in the hospital by the judge Aladashvili who had promised him to be a guarantee of fulfillment of his demand. "The judge Aladashvili did not fulfill his promise; in fact he had lied to me" - states Mr. Soso Zhgenti.

He had already appealed to he Chairman of the Supreme Court on May 20 and now he declares: If before July 31, 1996 I do nor receive from you a positive answer to my appeal, you will be responsible for all actions I will commit. I will not declare a hunger-strike any more, since it is absolutely useless. I will express my protest in more sever form - I will commit suicide."

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE
მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia